**რედაქცია**

გაზეთის რედაქცია გოლოვინის პროსპექტზე, იგ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება"-„ივერიის" რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის" აგენტთან ი. ჭყონიასთან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"-„Иверiи".

„დროება"-„ივერიის" ფასი

| | წელიწადში | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება" და „ივერია" ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივის ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებრივის ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება"-„ივერიის აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ.


რედაქციის დამოუკიდებელის მაზეზისა გამო დღევანდელი ნომერი შევსებული ვერ გამოდის.

---


თბილისის თეატრი

ოთხშაბათს, 21 ოქტომბერს

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**ქარაფშუტა**

კომედ. 3 მოქ. ფრანც. ა. მესხისაგან.

II

**ცოცხალი სურათები**

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში. დასაწყისი 8 საათზე.

---

ნაფიცი ვექილი

ალექსანდრე მირიანის-ძე

**ჭყონია**

ქ. ქუთაისში

მიიღებს სამოქალაქო საქმეებს საწარმოებლად ყველა სასამართლოებში, რომელნიც ექვემდებარებიან ქუთაისის ოლქის სასამართლოს, და აგრეთვე თფილისის პალატაში. სადგომი აქვს სილაზედ, საკუთარ სახლში. (4—4)


# ტელეგრამმები

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან.)

**ნოღალაქევი**, 17 ღვინობისთვეს. სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტატთა კრებამ გუშინ განიხილა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის წინადადება ქუთაისში გასახსნელ სასულიერო სემინარიის ხარჯში მონაწილეობის მიღებაზე. კრებამ ერთხმად და სიამოვნებით გარდასწყვიტა მოხსენებულის მონაწილეობის მიღება, რისთვისაც შესწირა ერთი წილი იმერეთის დეპუტატთა კრების პროტოკოლებში ნახსენების ფულისა, რომელიც წილად მიეთვალა იმერეთის სამღვდელოებას მისის ჯამაგირების მიხედვით.

ყოვლად-სამღვდელოს სიტყვამ ჩინებული და მღიერი შთაბეჭდილება მოახდინა კრებაზე.

(„ჩრდილოეთის ტელეგრაფის სააგენტოსი")

**პეტერბურღის ბირჟა**, 16 ოქტომბ.

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 94—62 |
| მეორესი — — — — | 92—50 |
| მესამესი — — — — | 93—50 |
| მეოთხესი — — — | 92— „ |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 90—12 |
| აღმოსავლეთის მეორე | 90—12 |
| აღმოსავლეთის მესამე | 90—12 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 7—67 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 220—25 |
| მეორე სესხის — — | 214—25 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 25—87 | პენსი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |
| ჰამბურღი — | 221—25 | ცენტი |
| პარიჟი — — | 273—12 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

---

## ახალი ამბები.

გუშინდელი დოღი მაინც-და-მაინც არაფრად არ იყო შესანიშნავი. უმთავრესი მიზეზი ამისი, უეჭველია, ის იყო, რომ ადრე არ აცხადებენ — თუ რა დღისთვის არის დოღი დანიშნული და შორი ადგილებიდამ დროზე ვერ ჩამოდიან დოღში მონაწილეობის მისაღებად.

პირველად მარულაში გამოიყვანეს სულ ხუთი ცხენი. ჯილდო მთავრობისაგან პირველ ცხენისათვის იყო დანიშნული 500 მ. კავკასიის მხრის 4 წლის ულაყ და ჭაკ ცხენებისათვის. მანძილი სამი ვერსი. პირველი ჯილდო მიიღო ალი-შმბეტ-ოღლის ქურთის ჯინშის ცხენმა—„ჯეირანმა", მეორე ცილდო მიიღო ელისავეტპოლის სახელმწიფო ცხენების დეპოს ცხენმა „შამილმა."

მეორე მარულაში სულ ათი ცხენი გამოიყვანეს. მანძილი იყო 4 ვერსი და 100 საჟ. პირველი ჯილდო 600 მან. ეს ჯილდო აიღო ბორჩალოს თათრის ალი-ბეკ მურსაყულოვის ცხენმა—„უულაიმ"; მეორედ მოვიდა მეჰმედ ალი-აღა ეიუბოვის „თოფშანმა"; მესამედ ენიკალოფოვის არაბის ცხენი გამოჩენილი „ბიშერა", რომელსაც ამ წინა ორი წლის განმავალობაში მუდამ პირველი ჯილდო მიჰქონდა; მეოთხედ მივიდა სამადუასუმოვის „შახმარა" და მეხუთედ კი გ. ყარანგოზოვის „არაბისტანკა".

დოღი 2 საათზე დაიწყო და მეოთხის ნახევარზე გათავდა. ხალხი საკმაოდ ბლომად დაესწრო.

***

ათონის მთიდამ მოვიდა ამბავი, რომ იქაურ სხვა-და-სხვა თემის მონასტრებს შუა საშინელი განხეთქილება, ბრძოლა ჩამოვარდნილა მონასტრების შემოსავლისა და საზოგადოთ ფულის გამოისობითაო. ერთის მხრით არიან თურმე რვა ათასამდინ ბერძნის ბერები და მეორეს მხრით რუსის 2,700 ბერი და 300-400 ბერი რუმინებისა, (ამათში არ არის ჩათვლილი ორმოცამდინ ქართველი ბერები).

სტამბოლში ეშინიანთო, რომ ამ განხეთქილებამ პოლიტიკური ხასიათი არ მიიღოსო.

ჩვენთვის კი, მართალი უნდა ვსთქვათ, ძალიან სასიამოვნო იქნება, რომ ამ

---

**«დროების» ფელეტონი, 20 ოქტომ.**

## ელგუჯა *)

(მოთხრობა)

მათია ჩამოვიდა შინ და ბზიუქვეშეს გაემართა, სადაც ელგუჯას ამბით მზალვე უნდოდა გაეხარებინა. ის პირველში თითონაცა ხარობდა ქალის ამ გვარად გახარებას, მაგრამ რამდენათაც უახლოვდებოდა ქვეშეს, იმდენად გული ელეოდა. იყო ისეთი წუთიც, როცა სრულებით გამობრუნებას და გადაკარგვას აპირებდა იმ ადგილებიდგან, სადაც ასეთი სატანჯველი აუტყდა.

— სიტყვა?.. ფიცი?.. იტყოდა ის გამწარებული და გააგრძელებდა გზას.

ამ ხანში მზალვე და ჯაჯალაც მათიას და ელგუჯაზედ ლაპარაკში იყვნენ. ისინი სხვა ვოგოებთან ერთად წასულიყვნენ იქვე ჭალაში, თხილის და მარწყვის მოსაკრეფათ. ჭალაში ყველანი ჯგუფ-ჯგუფად დაიყვნენ და ისე დაიფანტნენ. შუა დღემ მოაღწია და ჩამოცხა. ქალები მიიდნენ არაგვის პირზედ, იქ ჩრდილში დასხდნენ, რომელიც მოზდებიყო იმ ადგილს იქვე მდგარის ხეებიდგან.

იმათ თითქოს მოსწყენოდათ ერთმანერთთან საუბარი და ეხლა გაჩუმებულნი თავ-თავიანთ ფიქრს ეძლეოდნენ.

— ძალიან გიყვარს ელგუჯა? ბოლოს გაწყვიტა სიჩუმე ჯაჯალამ და დაუწყო ყურება მზალვეს.

— მაგას რაიღა კითხვა უნდა? განა შენ არ იცი?

— ის ჩემი ძმაა და ძმასავით მიყვარს.

— ის ყველა ქალს შეუყვარდებოდა, ოხვრით დაუმატა ჯაჯალამ და გაჩუმდა.

მზალვემ, რომლის პირისახეზედაც ღიმილი გამოიხატა, ჯახედა იმას და ერთბაშად წამოიძახა:

— გონჯია მათიაი, გონჯი!

— რაი სთქვი ევა? წამოწევით და გაკვირვებით შეხედა ჯაჯალამ.

— გონჯია-მეთქი, მათია, იმავე ხმით გაიმეორა მზალვემ.

იმას გაუელვა თავში აზრმა, რომ ჯაჯალას მოსწონდა მათია და გუნებაში გაურბინა ბავშურმა სურვილმა, რომ ის გაეჯავრებინა.

— ხუმრობ, უპასუხა ჯაჯალამ და მიეყუდა ხეს.

— კი არ ვხუმრობ, მართალს ვამბობ. იმაზედ ქალი არ გათხოვდებოდა.

— რად არა?

— იმად რომ გონჯია.

— დიახ, გონჯია!.. შენი ელგუჯაი ემჯობინება, არა? ვეღარ მოითმინა ჯაჯალამ.

— ჰაი, ჰაი რომ სჯობს. მათიაი რაი კაცია?

— რაისთვი ლაპარაკობ აგრე, ღვთის მადლსა? წყენით უპასუხა ჯაჯალამ.

ამაზედ აჰყვნენ ისინი ერთმანერთს და საქმემ იქამდინ მიაღწია, რომ ჯაჯალამ ტირილი დაიწყო და ამითი გამოააშკარავა თავისი გრძნობა. მზალვეს არ უნდოდა იმისი წყენება და ამისათვის ის მოეხვია ჯაჯალას ყელზედ და დაუწყო კოცნა.

— ავაიმე, ჯაჯალაუ! რას ჩადი?.. მე გეხუმრებოდი და შენ-კი მართლა ტირილი დაიწყე!.. დაჩუმდი შენაი ჭირაიმე, დაჩუმდი... ღვთის მადლმა რომ ალალ დას არ ეყვარება მათია ისე, როგორც მე მიყვარს.

მაგრამ უბრალოდ აჩუმებდა მზალვე ჯაჯალას, რომელსაც ღაპა-ღუპით გადმოზდიოდა ცრემლები და ამბობდა:

— არავის არ ეუყვარვარ, ყველას ვეჯავრები, შენც-კი გეჯავრები.

კაცი ვერ იტყვის, როდემდინ გაგრძელდებოდა ქალების საუბარი, თუ იმათ სხვა დედაკაცების ხმაურობა, რომლებიც შეყრილიყვნენ შინ წამოსასვლელად და იმათ ეძახდნენ, არ მოესმოდათ.

ჯაჯალამ საჩქაროდ მოიწმინდა თვალები, შეზდგა რაოდენსამე ხანს და უყურებდა დალონებულს მზალვეს, რომელმაც არ იცოდა რითი გაესწორებინა თავისი შეცდომა, უნებურად ჯაჯალას წყენება. ასე იდგნენ კიდევ რაოდენიმე ხანს, თითქოს ერთმანერთთან გაბუტულები იყვნენ; მერე შეხედეს ერთმანერთს ორთავ გაიღიმეს და მოეხვიენ ერთმანერთს, ორთავეს ერთმა და იგივე აზრმა გაუელვა თავში და ეს აზრი შეეხებოდა ჯაჯალასგან მათიას სიყვარულს. ამ დროს კიდევ მოისმა სხვების ძახილი

---

*) ის. „დროება" № 218.

*) წუღის ჩასაცმელი ტყავი.

განხეთქილებამ მართლა პოლიტიკური ხასიათი მიიღოს; მაშინ გამოიკვლევენ Aთონის მონასტრების საქმეებს, დარწმუნდებიან, რომ ბერძნის ბერები მძლავრობითა და გაიძვერობით ისაკუთრებენ, სხვათა შორის, ჩვენ მამა-პაპათაგან დაფუძნებულს მონასტრებსა და ამ მონასტრებში სიმდიდრეს, როგორც მწიგნობრობისას, აგრეთვე ნივთიერს, დარწმუნდებიან და, იმედია, დაგვიბრუნებენ კიდეც.

* * *

ფოთიდამ გვწერენ, რომ ეს ერთი კვირაა, რაც ზღვა საშინლად აღელვებულია და ამის გამო ხომალდები ვერ იძვრიან ადგილიდამა; ფოთის მაიაკიდამ რამდენიმე ხომალდი მოჩანს შუა ზღვაშიო, რომელნიც ღუზებით არიან გამაგრებულნიო, მაგრამ აღშფოთებული ზღვა საშინლად აგორებს იმათაო. უბედურების ამბავი-კი ჯერ არა მოსულა-რაო.

## „დროების“ კორრესპონდენცია.

—

ახალ-სენაკი, 14 ღვინობისთვეს. ამას წინეთ „დროების“ ერთ №-ში წავიკითხე სუჯუნიდამ (სენაკის მაზრა) მოწერილი კორრესპონდენცია, რომელშიაც ავტორი აგვიწერს ხალხის აღელვებას და თითქმის აჯანყებას ურიების წინააღმდეგ.

სწორეთ რომ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზედ ამ კორრესპონდენციამ. ნუ თუ მართლა ჩვენი ხალხიც იმ აზრისაა, რომ ვინც ქრისტიანი არ არის, ყველა უნდა ვდევნოთ და ვჟლიტოთ? ნუ თუ მართლა ჩვენ ხალხსაც სჭირს ის სენი, რომელსაც ფანატიზმს ეძახიან? ამ კითხვებით დაფიქრებული, მე წაველი ნამდვილი ამბავის გასაგებათ ბ. სენაკის მაზრის უფროსთან და აი რა მიანბო მან ამ საქმის შესახებ:

„კვირა დილით ორი ურია მოიჭრა ჩემთან დილის პოეზდით სოფ. სუჯუნიდამ და მიიხრეს, — „ქრისტიანები ამოჟლეტას გვიპირებენო და გვიშველეო.“ მე წინადვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ურიები უთუოთ ტყუილი ხმებით არიან შეშინებული, თორემ ნამდვილი იქ არა იქნებოდა-რა. მაგრამ წასვლით მაინც წაველი, და თან ვიახელი ერთი ყაზახი რუსი. მიველი სუჯუნაში და, არათუ ექვსასი, ექვსი კაციც კი არ მინახავს ქუჩაში თავმოყრილი. არც ყრილობა, არც ყვირილი და არც რაიმე უწესოება მე არ შემიმჩნევია არც ქუჩებში და არც სხვაგან სადმე. მაგრამ შეფრთხალებული ურიების დასამშვიდებლად მაინც დავიბარე ხალხი, და სხვა საუბართა შორის გაკვრით ჩამოუგდე ლაპარაკი, ურიების თაობაზე; ვუთხარი, რომ ურიების შევიწროება, უკანონოთ მოქცევა და დევნა დაისჯება იმნაირივე სასტიკი კანონით, როგორც ქრისტიანების დევნა და შევიწროება; და ამისათვის ფრთხილად იყავით, კაცმა არ შეგაცდინოსთ-მეთქი. ამ ჩემს დარიგებაზე ხალხმა ამნაირი სიტყვები მითხრა: — „ბატონო, განა ჩვენ კი არ ვიცით, რომ კანონის წინაშე ყველანა ერთია? ან რა გვაქვს ჩვენ ურიებთან გასაყოფი? ისინი თავისთვის ცხოვრებენ, ჩვენ ჩვენთვის. არაოდეს ჩვენ და მათ შორის განხეთქილება არ მომხდარა და არც მოსალოდნელია, რომ მოხდეს; აბა, თვითონ სთქვან, თუ რამ უკმაყოფილება გვქონია და ან ეხლა გვაქვს ჩვენ იმაზე.“ აქ კი ფრთხალმა ურიებმა სული სხვა სთქვეს; როგორ შეიძლება! ჩვენ ძალიან მეგობრულად ვცხოვრობთო.“ და ჩუმად კი სულ სხვას ლაპარაკობდნენ.

თურმე ყველა ეს აყალ-მაყალი სულ უბრალოზე შემდგარა: ერთ საღამოს ვიღაც ერთი მედუქნე მოსულა ქუთაისიდამ სუჯუნაში და დაუგდია ხმა, ვითომც გამომძიებელს ქუთაისელი ურიები დამნაშავედ ეცნოს ქრისტიანის წვალებაში და ეთქვას კიდეც, რომ მათი საქმე ცუდად წავაო. ამ მედუქნის ლაპარაკისთვის მოუკრავსთ ყური ორ ურიას, წასულან და, დობჩინსკის და ბობჩინსკის არ იყოს, ნახევარ საათში მოუფენიათ ხმა, რომ ქრისტიანები ჯერ ქუთაისში აპირობენ ურიების ამოჟლეტასო და მერე სუჯუნაშიო. ბაიგონეს თუ არა ეს ამბავი ურიებმა, ის კი აღარ იკითხეს: მართალია თუ ტყუილიო; პირ-და-პირ პრისტავთან და მაზრის უფროსთან გაიქცნენ: გვიშველეთ, ქრისტიანები ამოჟლეტას გვიპირებენო. შიშს დიდი თვალები აქვსო, — ტყუილად კი არ არის ნათქვამი.

ამ ჩემი წერილის დასამტკიცებლად, საჭიროდ ვრაცხ დავსძინო, რომ მე თვითონ ვნახე ოფიციალური ქაღალდი ამ საქმის თაობაზე, შედგენილი სუჯუნის პრისტავისაგან, რომელშიაც დაწვრილებითაა ნაამბობი ყველაფერი და რომლიდგანაც ცხადაც სჩანს, რომ ქრისტიანებს არა თუ არ განუზრახავთ, არამედ არც კი მოუფიქრებიათ ურიების დევნა და ჟლეტა.

ბესო.

# უცხოეთი

—

შვეიცარია. შვეიცარიის კავშირის რჩევამ მიმართა სხვა-და-სხვა ცნობების გასაგებათ ბრაუნშვეიგის მმართველობას, სადაც სოციალისტებს ამეთ გამართული კონგრესი. მაგრამ ხსენებულმა მმართველობამ უარი განუცხადა საზოგადოთ ყოველ გვარ ცნობის მიცემაზედ და კერძოდ სხდომებზე დამსწრე პირებთ დასახელებაზედ.

—

ინგლისი. ირლანდიაში ძღელვარება თან-და-თან მატულობს. ხალხსა და პოლიციას შუა ხშირად ხდება შეტაკება და სისხლიც იღვრება. მაგრამ საერთო არეულობის ნიშნები არის ჯერჯერობით. ამერიკიდამაც ურჩევენ ირლანდიის მოთმენას. ამერიკელი ირლანდიელები დიდ უკმაყოფილებას იჩენენ პარნელის დატუსაღების გამო. ხშირად იკრიბებიან ხოლმე, ქებას ასხმენ პარნელს და დანარჩენთ დატუსაღებულთ, ირლანდიისათვის თა-

---

და ისინი გაიქცნენ რაღაცა გულის კანკალით.

როდესაც ისინი მივიდნენ, ჯაჯალამ დასძახა სიმღერა, იმას სხვებმა მისცეს ბანი და ასე გასწიეს შინისაკენ. ჯაჯალას ქალამნებში ქვიშა ჩასცვივნოდა და უშლიდა სიარულს. ის დაჯდა გზის პირს გაიხადა ქალამნები და ბერტყა დაუწყო. ამაობაში იმისი ამხანაგები კარგა დაშორდნენ და მოეფარნენ ცხვირ-წამოწვდენილს კლდეს. ჯაჯალა ცდილობდა ჩაეცვა ქალამნები და მოსწევიყო ამხანაგებს, მაგრამ როგორც ყოველთვისინ არის ხოლმე, როცა კაცი ჩქარობს, უფრო უგვიანდება, იმას ვეღარ ჩაეცვა ქალამანი და ძაბრიგანა*) მეათედ უსხლტებოდა. შორი-ახლო ტყეში შუბი გამოჩნდა, რომელიც წყნარწყნარად ირხეოდა და გზაზედ გამოვიდა ვიღაცა რუსის ყაზახი, რომელსაც ჯაჯალას გვერდით უნდა გაევლო. ჯაჯალას შეეშინდა, წამოავლო ქალამანს ხელი, მაგრამ ყაზახმა შეხედა მას და ჩუმად გასცდა რამდენიმე ნაბიჯი. იქიდგან შეხდგა ცოტა ხანს, მოაბრუნა ცხენი და ჩამოხტა. მივიდა ქალთან, რომელმაც შიშით აღარ იცოდა რა ექნა.

— კარგი, კარგი მარუშკა, უთხრა იმან დალმეჯით, რომელიც ღიმილს მოასწავებდა.

— დაგიბრმეს თოლი! ზამიშვი, მომეცალე გზაზედ! შესძახა ქალმა და გაემართა წასასვლელად.

— რა გაყვირებს, აი ფულს მოგცემ, უთხრა იმან წინ გადადობით და ამოიღო ჯიბიდგან კაპიტანი, რომლისათვისაც საკიდგან ანაფხეკი ვერცხლის წყალი წევსვა და ვერცხლის ფრად დეეფერა.

— არ მინდა, არა, თქვენგან სიხარულიც არ მინდა, არამც თუ ფული, მომშორდი.

— რასა ჰკივი?.. აქ არავინ არის და არც არავინ მოგეშველება. აიღე, უყურე როგორი ვერცხლის მანეთია... მოდი, შენის ნებით მაკოცე, თორემ ინანებ.

ქალს არ ესმოდა რუსული, მაგრამ კარგადა ხედამდა, რომ ამ ყაზახს ჩვეულებრივი უპატიოსნება განეძრახა გულში და ძალ-დატანება მოეწადინა.

— რაიღა მეშველება, მე დალეუპილს! წამოიძახა ჯაჯალამ და მეორე მხარეს გატრიალდა გასაქცევად.

საგულის ბოლოები, რომელიც ქარზედ გაფრიალდა, ყაზახს პირ-და-პირ ხელში მიახვდა და იმანაც მაგრა მოჰკიდა და მიიზიდა თავისკენ; ჯაჯალამ რა დაინახა რომ ის ვეღარ გაექცეოდა, გამობრუნდა, დაუწყო იმას თავ-პირში ცემა, მაგრამ გამხეცებულმა ყაზახმა მაგრად მოხვია მკლავები, აიყვანა ქალი ხელში და დადორდლილის ტუჩებით დაუწყო ლოშნა. ქალი იბრძოდა რაც-კი ღონე ჰქონდა, მაგრამ რა გაუხდებოდა კაცთან, რომელსაც გადაეწყვიტა უეჭველად იმისი გაწბილება. ჯაჯალას ღონე უსუსტდებოდა ბრძოლაში და იქამდინაც-კი მისულიყო, რომ რუსმა სიხარულის კივილით გადააქცია ისა, მაგრამ იმ წუთში ვიღასიც ღონიერი ხელი წამოწვდა კისერში, გადაატრიალა იქით და ბურთსავით დასცა.

ჯაჯალამ შეხედა და დაინახა მათია, რომელიც თითქოს მიწიდგან ამოსულიყო დედა-კაცის კივილზედ და ასე დროზედ მოესწრო იმისთვის.

— წადი შინ, თითქმის ბრძანებით შესძახა მათიამ იმას და გაუბრუნდა რუსს.

ქალმა წინააღმდეგობა ვეღარ გაბედა და დარცხვენილი გაიქცა შინისაკენ.

— აი შე ძაღლო, შე დიაცო შენა... ცხო რაი შეგიძლიანთ, თუ არ დიაცთან ბრძოლა! შესძახა მათიამ ყაზახს.

ყაზახი წამოდგა და ჩვეულებისამებრ გამოიჭიმა, რაკი ძალა დაინახა.

— დამნაშავე ვარ, ბატონო წამოიძახა შეშინებულმა ყაზახმა.

— დამნაშავე-კი არა, ძაღლი ხარ და ძაღლსავით დაუნდოთ იქცევით! აბა ახლა სცადე შენი ძაღლობა. ყაზახი ისევ გამოჭიმული იდგა, მაგრამ რა შეხედა მათიას განრისხებულს სახეს, და ამოღებულს ხანჯალს, ის მაშინვე დეეცა მუხლის ჩოქზედ და დაუწყო ხვეწნა:

— თქვენო მაღალ კეთილ შობილებავ, თქვენო ბრწყინვალებავ! მომიტევეთ, მოიღეთ ღვთიური მოწყალობა.

მათია ყურს არ უგდებდა მიდიოდა იმაზედ, მაგრამ რა შეხედა იმის შიშისაგან დამახინჯებულს სახეს სიზიზღით წარმოსთქვა:

— მე ხანჯალს პირუტყვებზედაც-კი ვხმარობ, მაგრამ შენზედ-კი არ წავპილწამ, არ გავმურტლამ ცოდოა ხანჯალი.

მერე მივიდა შეუკრა ხელები, აჰყარა იარაღი, გახადა შალვარი და ისე შესვა ცხენზედ, რომელიც დააყენა გზაზედ და გაუშვა.

ყაზახი გახარებული ამ გვარად გადარჩენით, სიხარულით მიაჭენებდა მეგობრისკენ, მაშინ როდესაც მათია სიზიზღით უყურებდა იმას და იძახდა:

— სხვა კაცს რომ მოსვლოდა ეგეთი საქმე, მაშინ ის თავად ეცდებოდა ცხენიდგან მაინც გადმოვარდნილიყო, თავი გაეხეთქა ქვაზედ და აგრე სასირცხვილოდ-კი არ გამხდარიყო... ეგ-კი, უყურეთ, როგორა ხარობს!.. აჰუ! შევარცხვათ კაცობა ხელის ჩაქნევით წამოიძახა იმან.

ვის შემწირავთ და ჰკიცხავენ გლადსტონ და საზოგადოთ ინგლისის მმართებლობას. ამ სხდომებზედ სხვათა შორის ესწრება ხოლმე პარნელის დედაც, რომელსაც ყოველთვის დიდი ოვაციებით იღებენ. ერთ სხდომაზედ უთქვა პარნელის დედას, რომ ეს დატუსაღება დაუგვირგვინებს მის შვილს ნაშრომს და დიდად სასარგებლოა ირლანდიის საქმეებისათვის.

## ამერიკის შეერთებული შტატები.

ასი წლის იუბილეის დღესასწაულის გამო, ახალმა პრეზიდენტმა შეერთებული შტატებისა არტერმა წარმოსთქვა ოფიციალური სიტყვა:

„ასი წელია მას აქეთ, უთქვამს მას, რაც გათავდა ბრძოლა ჩვენი განთავისუფლებისათვის. შური, რომელიც აღძრა ამ ბრძოლამ ჩვენში ბევრ დანარჩენ ხალხისადმი დიდი ხანია დაცხრა და ქების შესხმა ეხლა გამარჯვებულს აღარც კი უნდა ეჭირებოდეს. მამულის მოყვარეობა ამ ჟამად დავიმტკიცოთ ჩვენ მამა-პაპათა პატივით მოხსენებით და ჩვენთ შვილთა თავისუფლების და სამართლისადმი პატივისცემის ჩაგონებით. ვეგებები საფრანგეთისა და გერმანიის დელეგატებს, და ვხარობ, რომ ჩვენი მეგობრობა ამ ერებთან დიდი ხნიდამ სცოცხლობს. იმედი მაქვს, რომ ეს კეთილი განწყობილება ჩვენ შორის კიდევ ბევრს ხანს გასტანს და ჩვენ ვისიამოვნებთ შინაგან და გარეგან მშვიდობიანობით."

ოსმალეთი. გაიგო თუ არა ხონთქარმა ინგლისის და საფრანგეთის საომარი გემების მოსვლა ალექსანდრიაში, მაშინვე მოიხმო ამ მმართებლობათა წარმომადგენელნი გამოსაკითხათ, თუ რას ნიშნავს ეს. ამათ აუხსნეს, რომ ეს გემები ემგზავრებიან ეგვიპტესაკენ, დაიცონ სიცოცხლე და საკუთრება ინგლისისა და საფრანგეთის ქვეშევრდომთა და თუ ოსმალეთის მმართებლობა არ გამოიხმობს ამ მხარიდამ თავის კამისარებს გემები განაგრძობენ თავის მოგზაურობას. ხონთქარი უნებურად შეიქნა იძულებული გამოეხმო ეგვიპტიდგან კამისრები. ამის გამო, პირობისა მებრ, საფრანგეთმა და ინგლისმაც გამოიხმეს თავიანთი გემები.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ოთხშაბათს. გარსევანიძე და ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი — ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების ავათმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შაბათს. ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღ. სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

კანცელარია წერა-კითხვის გამვრცელებელი საზოგადოების გამგეობისა იმყოფება მთა-წმინდის ხევის (ოვრაჟსკის) ქუჩაზედ, № 9, ფარესოვის სახლების ზემო ეტაჟში. (5—1)

მასწავლებელთა მოწვევა

ტფილისის კათოლიკეთა სამრევლო სკოლებისათვის (ქალებისა და ვაჟებისა) საჭიროდ არიან მასწავლებელნი ქალნი და კაცნი სარწმუნოებით, განურჩევლად მცოდნენი ქართულისა და რუსულის ენისანი. პროგრამა სწავლისა დაწყებითის სასწავლებლისაა. მსურველთ შეუძლიათ ოქტომბ. 22-მდე მოლაპარაკება ტფილისის კათოლიკეთა ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიის წინამძღვართან პატრი დიმიტრი სუმანიშვილთან, დილაობით საათის 10-დამ 12-მდე. (3—2)

ს ზოგადოების სურვილის გამო თეატრ-მაქსი.

ქაზენოვი

დაიჩება და კიდევ მისცემს სამს წარმოდგენას შაბათს და ოთხშაბათს. (2—1)

იქირავება ახალი მებელი ხუთი ოთახისათვის ერთად და ცალ-ცალკე. ერთად ღირს 600 მან. ადრესი. მიხაილის ქუჩა, გრიგორიევის სახლი, იკითხეთ ნიკიფოროვისა. (3—1)

ბბ. გ. იოსელიანისა და რ. რეცოლდის პანსიონში და სასწავლებელში იღებენ ყმაწვილებს პირობით ყოველ საშუალ სასწავლებლებში მოსამზადებლად. მიხაილოვის ქუჩა, გურგენბეგოვის სახლებში. № 81 (5—4)


ამ დროს ყაზახმა მიაღწია ერთს ფერდოს, რომელიც მუდამ იმალებოდა და წვრილ-წვრილად ჩამოდიოდა გზაზედ. ვინახოთ რადამაც იქნა და მოხეთქილი კლდე წამოვიდა ხრიალით. ამ ხმაზედ ცხენი დაფთხა და განზედ გაჰხტა, ყაზახმა თავი ველარ დაიჭირა და გადმოვარდა ცხენიდგან, უბედურმა უზანგიდამ ფეხი ველარ დაახწია, რომელმაც ცხენი უფრო დააფრთხო. იმან აითრია პატრონი და უკანა ფეხებით თავი მთლად დაუნაყა და პირისახე შესაზარლად დაუგლიჯა.

— რაისაც ღირსი იყო, ღმერთმაც ისე მოუმართა ხელი... ძაღლს ძაღლური სიკვდილი მიერგება. სთქვა იმან და გამობრუნდა. იმის გულში სიბრალულის ნაპერწკალმაც-კი არ გაუარა, ისე მტერი იყო ამ ყაზახისა მოსული, არამც თუ მარტო მათია, არამედ ყველა იმ დროს მთის ხალხი.

იმან სიზიზღით გადაყარა ყაზახის ტანისამოსი და იარაღი, რომელსაც ისე უყურებდა, როგორც უწმინდურს რასმეს და გასწია თავის გზაზედ.

ძველმეს ის შევიდა თავისუფლად, რადგანაც ეხლა მალვის მიზეზი აღარა ჰქონდა. მზალვე მოელოდა, რადგანაც ჯაჯალას შეეტყობინებია იმისი მოსვლა, თუმცა თავის შემთხვევაზედ კი ყოველისფერი დაემალა.

იმათ დიდ ხანს ლაპარაკი არ დასცალდათ, რადგანაც მათიას სვიმონმა დაუძახა. მზალვემ გაიგო მხოლოდ, რომ ელგუჯა კარგად არის, ჩქარა მორჩება და იმას გაიტაცებენ, რადგანაც ელგუჯას ურჯულის მიცემა არ შეუძლიან.

მათია შევიდა სვიმონთან, რომელიც სავარძელში იჯდა და რაღაცა ქაღალდებს ჰკითხულობდა.

— სალამი მშვიდობისა, თავის დაკვრით უთხრა მათიამ იმას.

— ო, მათია!... გამარჯვება შენი... როგორა ხარ?

— შენი კვნესა მომცა ღმერთმა. კარგად.

— მამა შენს არ დაეკითხე: გაყენებს ისაულად, თუ არა?

— რად არა შენი კვნესამე, შენთან ხლების ღირსიც არა ვარ.

— შენ მე მომეწონე და კიდეც ჩაგწერე იასაულად... ცხენით გინდა იყო, თუ ქვეითი.

— ჩემთვის რა შედენაა, შენი კვნესამე... როგორც შენ გინდა.

— მაშ კარგი, მე ცხენიანათ ჩაგწერ და შენ კი ქვეითი იქნები. თუ ცხენი დაგჭირდა როდისმე ერთ ერთს ჩემ ცხენზედ შეჯდები.

— შენ იცი, შენი კვნესამე.

— ეხლავე შეგიძლიან დარჩენა, თუ შინ ჩასვლა მოგინდება?

— შინ ჩასვლა მომინდება შენი კვნესამე... მე აქ ახლო სოფელში ვიყავ, საქმე მქონდა და მამა ჩემს სიტყვა უნდა ჩაუტანო.

— აგრე ჰქენ...

მათიამ თავი დაუკრა და გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ სვიმონმა ისევ მოაბრუნა.

— ელგუჯა, მართლა თქვენსა იწვა?

მათია შეკრთა ამ მოულოდნელს კითხვაზედ, რადგანაც ეგონა, რომ სვიმონი გაუწყრებოდა ამისთვის, მაგრამ თავი ჩქარა შეიმაგრა და ამაყად უთხრა:

— იწვა, შენი კვნესამე.

— მართლა ძმათ ხარ იმასთან გაფიცული?

— ვარ, შენი კვნესამე.

სვიმონმა სიამოვნებით შეხედა მათიას ასეთს გულადობას, მაშინ როდესაც იმან კარგად იცოდა, რომ ელგუჯა სვიმონის მოსისხლე იყო და სვიმონს რომ მოენდომა მთიული ცოცხალი ველარ გავიდოდა.

— ეხლა სადღა არის?

— არ ვიცი შენი კვნესამე.

— არ იცი? ჰკითხა სვიმონმა და დაუწყო გამომცდელის თვალებით ყურება.

— არა.

— იცი რა გითხრა, მათიავ? მე შენთან ძმად გაფიცვა მინდა.

— ნუ შენი კვნესამე, რაი ღირსი ვარ შენთან ძმობას.

— მე მე ვიცი..... პირ-და-პირ მითხარ, რად არ გინდა ჩემთან ძმობა... მაქ-კაცი პირ-და-პირი უნდა იყოს.

მათია გასწორდა და ამაყად შეხედა სვიმონს.

— შენ რაისთვის-ღა არ მეუბნები პირ-და-პირ?

— მეც პირ-და-პირ გეტყვი.

— მაშ კარგი... მე შენთან ძმობა იმისთვის არ მინდა, რომ ელგუჯასთანა ვარ ნაფიცი და შენ კი ჩემი ძმობილობა იმის დასაღუპავად გინდა. იმას კი ჩემგან ისე არ ეღალატება, როგორც ღმერთისას. ჩემგან ფიცი არ გატყდება თუნდა დღესვე ჩამომახრჩო.. ეხლა გითხარ ყველა... უთხარ დამიჭირონ, შემკრან, დამხვრიტონ და მე ჩემს სიტყვას არ გადავალ, ფიცს ვერ გავტეხ.

— ნუ ჩქარობ ვაჟო! უთხრა სვიმონმა მათიას, და წყნარა ამოიღო ნაწილები, რომელიც გულზედ ეკიდა. — ამათ ვეფიცები, რომ ღალატი არ გამივლია გულში.... არც ეგეთი კაცი ვარ, ღვთის მადლმა, რომ ღალატით ვიცხოვრო. მე ყველა ვიცი... ისიც ვიცი ეხლა ელგუჯა სადაც არის. მე იმის გატანჯვა, სიკვდილი არ მინდა ღმერთი იყოს შენი თავდები.

— მა რაი გინდა? გაშტერებით იკითხა, მათიამ, და დაუწყო ყურება.

ა. მოხხულაშვილი.

(გაგრძელება)

ბოლოვინის პროსპექტზედ ანტონოვის სახლებში, სადაც წინეთ იყო სლავიანის სასტუმრო, უკვე გაიხსნა ჩემ მიერ ახალი სასტუმრო „ლივადია“ ბევრის ძლიერ ლამაზათ მორთულის ოთახებით, ყოველ გვარის სასიამოვნო მოხთენილებითა; ბუფეტი სტუმრების სიამოვნებისათვის შეიცავს ორს ზალას, რომლებთაგან ზემოთისას აქვს შესავალი პყრედნის, კარებიდამ; ქვემოთისას გარეთ ვიწრო ქუჩიდამ, პირ-და-პირ ახლად საშენებელის ტეატრისა. (ბანოვსკის ვიწრო ქუჩიდამ) იქ სდგას ახალი საქები ბილიარდები მუდამ დღე უკრავენ ახლად მოსული არტისტები სკრიპკა და როიალზედ. ეს ვრცელი ზალა ჩინებულად მორთულია მებილებით, რამოდენიმე ლამაზი პატარა თავის-უფალ ოთახებით (კუპე), იმ პირებთათვის, რომლებთა არა სურთ ეჩვენონ სხვათა სტუმრებთა. საჭმელები მზადდება ალრჩეულის ხარისხისა, ვაძლევ იაფ ფასად და სახლშიდაც; იმედია ახალად გახსნილი ესე სასტმრო დაიმსახურებს საზოგადო ყურადღებას. (3—3)

---

ინგლისის მაღაზიაში
არწრუნის გალლერეიაში
(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|
| — — | 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — | 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — | 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — | 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — | 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| ხაუკვოუხა | 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—56)

---

ქ. გორში მომრიგებელ სასამართლოის პირ-და-პირ გავხსენ ზეთით მომზადებული ყოველნაირი წამლების სამხატვრო საღებავთა მაღაზია, ვეიდი გირვანქობითაც თბილისის ფასებზედ 20% ნაკლებ. მყიდველთ შეუძლიანთ სოფლებიდამაც მომართონ უტყუვრად გაეგზავნებათ ყოველ-გვარი საღებავი (კრასკა)
(10—6) ივანე ს. ბაბალოვი

---

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამომ-ყვანი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშის 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ზომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ
(100—64)

---

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადგილას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტახტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.
(100—23)

---

ი. მურადოვის
წიგნის მაღაზიაში

# ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვება სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა.
(50—5)

---

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე ისყიდება:** პარ-ესინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—32)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჯავანას გიარები. (100—42)

---

**ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყუვიოთ.**
(100—63)

---

ტაქსია

საგზებაგ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 16 ოქტომბრიდამ 15 ნოემბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1გირ. | 3 კ. |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გირ. | 8 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 14 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 12 კ. |

---

Свидѣтельство объ успѣхахъ и поведеніи, выдаимое мнѣ изъ Тиф. дух. училища отъ 21 авг. 1880 г. № 424, утеряно Прошу нашедшаго представить его въ правленіе училища.

Захарій Ивановъ Джинчвеладзе.

---

# ქ. ქუთაისში

ახლათ გაღებულს ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეების მაღაზიაში მიღებულია განსაკუთრებით ყოველ გვარი სამზღვარს გარეთის საქონლები, მაგალითებრ: კაცის, ქალისა და ბავშვების ფეხსაცმელები, ქუდები სხვა და სხვა ახალის მოდისა, პერანგები, კოვთები, მოსასხმელები, ბალდადები, კასინკები, ხელთათმანები, წინდები, ქამრები, ოქროს ნივთები, ქალის უნაგირები ხავერდისა და ღორის ტყავისა, სტოლისა და ჩაის ჭურჭლები, ჭიქები, სარკეები, კრონტები, სკამები, ლამპები, საყვავეები. პარფიუმერიიდგან: ვასალამაზებელი ორიზა და პორფლის წამალი ლე-პანდესი, პუდრები ორიზა, ველუციანი და ანტეა. აგრეთვე ისყიდება სხვა და სხვა დუხები. ეს ყველი საქონელი 1-ის ხარისხისა არის და ისყიდება უფრო იაფათ ვინემ სხვაგან, ასე რომ თითოეულის მანეთის საღირელს 25 კაპეიკამდის აკლებინ. (5—4)

---

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

სამწერლო

# თაიგული

შედგენილი და გამოცემული ილია ჭყონიასაგან. შინაარსი: I ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი მ. ფაზელისა, IV მ...სადმი (ლექსი) გ—სა, V ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ხასიათის გავლენა სამეულ სმაილსისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

---

Продается по случаю отъѣзда совсѣмъ новая мебель на 5 комнатъ вмѣстѣ и отдается порозно, цѣна всей 600 р. Адресъ Михайловская улица домъ Григорьева спросить Никифорову. (3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Октября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი